

# სეზონის გმირები

## დაასახელეთ ათი საუკეთესო

1961 წელი დასასრულს უახლოვდება. კიდევ ცოტა და დადგება ახალი წელი.

სიამაყის გრძნობით, სიამოვნებით იხსენებენ საბჭოთა ადამიანები განვლილ წელს. ეს იყო ჩვენი ხალხის დიად გამარჯვებათა, შესანიშნავ წარმატებათა წელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აგების გრანდიოზული პროგრამა.

ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენი სპორტსმენები თავგამოდებით შრომობენ უდიდეს ამოცანათა შესასრულებლად. ისინი ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ საყვარელი სამშობლოს სადიდებლად. მათ სახელოვნად მიაქვთ სოციალისტური სახელმწიფოს მძლავთამძლე დროშა.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციამ ამ დღეებში გამოაცხადა კონკურსი, სადაც მკითხველებს თხოვს დაასახელონ ათი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენი, რომლებმაც თავიანთი შედეგებით, მაღალი მორალურ-სანებისყოფო თვისებებით მოიპოვეს საყოველთაო სიყვარული და აღიარება.

თქვენის აზრით, რომელი სპორტსმენები არიან განვლილი სპორტული წლის გმირები?

წერილები რედაქციას უნდა გამოგზავნოთ სპეციალური აღნიშვნით კონვერტზე — „Герой спортивного года" ა. წ. 25 დეკემბრამდე, შემდეგი მისამართით: Москва, центр, Б. Спасоглинищевский пер. дом 8, редакции газеты «Советский Спорт".

რედაქციისაგან: ამგვარ კონკურსებს ხშირად აწყობენ მოსკოვის გაზეთები, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულები რატომღაც პასიურად მონაწილეობენ მათში, ამიტომ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები, რომლებსაც საერთაშორისო აღიარება აქვთ, ხშირად ვერ ხვდებიან ამ სიებში. სასურველია ჩვენი სპორტის მოყვარულებმა უფრო მეტი ხალისით მიიღონ მონაწილეობა ამგვარ კონკურსებში.


17 დეკემბერი
კვირა,
№ 206 (1842)
1961 წ.
ფასი 3 კაპ.
გამოცემის მე-18 წელი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


# სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციაში

ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის პლენუმი, სადაც განხილულ იქნა 1962 წლის საკავშირო პირველობის დებულება. კალათბურთში სსრ კავშირის 39-ე პირველობის დებულებაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ჩემპიონატი ჩატარდება ორ ეტაპად: დასაწყისში ჯერ გათამაშდება წინასწარი შეჯიბრებები, ხოლო შემდეგ — ფინალი.

ქალთა ჩემპიონატის წინასწარი თამაშები ჩატარდება 25-31 იანვარს ოთხ ქალაქში (ქვეჯგუფების მიხედვით) ერთ წრედ. ქვეჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც ბრძოლა I-XII ადგილებისათვის იწარმოებს ორ წრედ. პირველი წრე ჩატარდება 11-16 თებერვალს და 4-10 მარტს, ხოლო მეორე წრე აგრეთვე ორ ეტაპად — 15-20 ივნისს და 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე. ქალაქები, სადაც გაიმართება ფინალური მატჩები, ჯერ არ არის დაზუსტებული.

განსხვავებული სისტემით ჩატარდება ვაჟთა გუნდების ჩემპიონატი. 24 გუნდი დაყოფილია 2 ქვეჯგუფად (12 თვითეულში), ხოლო თვითეული ჯგუფი იყოფა კიდევ 2 ექვსეულად. გათამაშების პირველი ეტაპი, ე. წ. წინასწარი თამაშები ეწყობა ერთ წრედ იგივე ქალაქებში და იმავე ვადებში, როგორც ქალთა გუნდების წინასწარი ტურნირი.

შემდეგ მთელი ჯგუფი (12 გუნდი) იკრიბება ერთ ქალაქში (პირველი ჯგუფი — კაუნასში, მეორე — ან მოსკოვში, ან კიევში), რათა 12-დან 19 თებერვლამდე ჩაატარონ კიდევ 6-6 თამაში, შემდეგი წესით: „ა" ექვსეულის თვითეული გუნდი ხვდება „ბ" ექვსეულის ყველა გუნდს; „ბ" ექვსეულის თვითეული გუნდი თავის მხრივ შეხვდება „ა" ექვსეულის ყველა გუნდს. იგივე მოხდება „გ" და „დ" ქვეჯგუფებშიც.

წინასწარ ტურნირში პირველ 6 ადგილზე გამოსული გუნდები გავლენ ფინალში, სადაც თამაშები ჩატარდება 2 წრედ, ყოველი მონაწილის მოედანზე. თვითეული ფინალისტი ჩაატარებს არა 22, არამედ 17 მატჩს, ვინაიდან ფინალში ყველა გუნდს ეთვლება წინასწარ ტურნირში ნათამაშევი 5 მატჩის შედეგები იმ მოწინააღმდეგეებთან, რომლებმაც აგრეთვე მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. ფინალის ვადებია 1-26 მარტი. არდადეგების შემდეგ თამაშები განახლდება 24 ივნისს და ჩემპიონატი დამთავრდება 20 აგვისტოს.

მე-13 — 24-ე ადგილები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებისათვის გათამაშდება ერთ წრედ (25-31 მარტი და 10-16 ივლისი).

ქალაქები, სადაც უნდა ჩატარდეს ქალთა და ვაჟთა გუნდების ტურნირები მე-13 — 24-ე ადგილებისათვის, ჯერ არაა დაზუსტებული.

### XXIX ჩემპიონატის მონაწილენი

#### ვაჟთა გუნდები

##### I ჯგუფი

„ა"

„დინამო" (თბილისი), „სპარტაკი" (ლენინგრადი), „კალევი" (ტარტუ), სკიფ-ი (ბაქო), „ტაჯიკეთი" (დუშანბე), „ზახმეტი" (აშხაბადი).

„ბ"

სკა (რიგა), „ჟალგირისი" (კაუნასი), „პოლიტექნიკი" (თბილისი), სკა (ლენინგრადი), „ინდორსტროი" (კიშინიოვი), სკა (ტაშკენტი).

##### II ჯგუფი

„გ"

სკა, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), ვეფ-ი (რიგა), „ბურევესტნიკი" (ალმა-ატა), „ბურევესტნიკი" (ოდესა), სკიფ-ი (ერევანი).

„დ"

„დინამო" (მოსკოვი), სკიფ-ი (კიევი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), სკა (კიევი), „სპარტაკი" (მინსკი), სკიფ-ი (ფრუნზე).

#### ქალთა გუნდები

„ა"

ტტტ (რიგა), „დინამო" (მოსკოვი), „პოლიტექნიკი" (კაუნასი), „ბურევესტნიკი" (ბაქო), „ზარია" (პენზა), „ტაჯიკეთი" (დუშანბე).

„ბ"

სკა (ლენინგრადი), „პოლიტექნიკი" (თბილისი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „ბურევესტნიკი" (მინსკი), „ინდორსტროი" (კიშინიოვი), „ზახმეტი" (აშხაბადი).

„გ"

„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), სკიფ-ი (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი" (როსტოვი), „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი), „ბურევესტნიკი" (ფრუნზე), „სპარტაკი" (ერევანი).

„დ"

„ტარტუს უნივერსიტეტი", „ტრუდი" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი), სიმ-ი (მოსკოვი), „ბურევესტნიკი" (ალმა-ატა), „ტექსტილმაში" (ტაშკენტი).

შენიშვნა: როგორც ქალთა, ისე ვაჟთა „ა" ექვსეულები თამაშობენ ბაქოში, „ბ" — თბილისში, „გ"—ლენინგრადში, „დ" — კიევში.

# იაპონელთა ტურნე გრძელდება

იაპონელმა მოჭიდავეებმა უკვე ამთავითვე დაიწყეს მზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის, რომელიც 1964 წელს ტოკიოში უნდა ჩატარდეს. ამ მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო იაპონიის თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების ტურნე საბჭოთა კავშირში. როგორც ცნობილია, ისინი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქს ეწვივნენ და თავისი ძალები სცადეს. იყვნენ მოსკოვში, თბილისში, კიევში, მინსკში, როსტოვში, ბაქოში, ერევანში. აღნიშნული შეჯიბრების ანგარიშები ჩვენ უკვე ვამოვაქვეყნეთ.

საბჭოთა კავშირში გამოსვლების შემდეგ იაპონელებმა თავისი ტურნე ევროპის ქვეყნებში განაგრძეს. ისინი ეწვივნენ საფრანგეთს. როგორც ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, პარიზში დიდი ინტერესი გამოიწვია იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების გამოსვლებმა. შეხვედრები გაიმართა როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში. ორივეჯერ გამარჯვება დარჩათ იაპონელებს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოიგეს ანგარიშით 7:1, ხოლო კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა ანგარიშით 6:2.

როგორც ცნობილია, 22 დეკემბრიდან თბილისის სპორტის სასახლეში გაიხსნება სპორტულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირადი პირველობის (მრავალჭიდში) დასკვნითი ეტაპი. მოსკოვის პირად - გუნდური ასპარეზობის შემდეგ, სადაც გამოვლინდნენ ჩემპიონები გუნდურ ჩათვლაში და ცალკეულ იარაღებზე, 16-16 უძლიერესი მრავალჭიდოსანი ქალთა და ვაჟთა შორის, თბილისში გააგრძელებს პაექრობას ყველა სატანვარჯიშო იარაღზე უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის ამ ავანგარდულ რიგებში იქნებიან სსრ კავშირის დამსახურებული ოსტატები, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, პ. სტოლბოვი და სხვანი.

# ტანმოვარჯიშეთა დიდი ასპარეზობის წინ

ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე, საქართველოს ტანვარჯიშული სკოლის ღირსებას დაიცავენ საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი ძელძე ვარჯიშში რ. კაჭახიძე და ნ. მაკალათია — ვაჟთა შორის, ხოლო ქალთა შორის — მ. ნინოშვილი და ე. ბენიძე.

სანაპიროს ქუჩაზე, ცენტრალურ სპორტულ ტანვარჯიშულ დარბაზში გაცხოველებული მზადებაა. აქ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით წვრთნას გადის სპორტის ოსტატი რ. კაჭახიძე. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა ვარჯიშმა ძელძე. განსაკუთრებით რთულმა და ეფექტურმა დაბოლოვებამ — ორმაგმა სალტომ. ასეთივე ეფექტური და რთულია მისი ვარჯიში რგოლებზე (სადაც იგი ასრულებს სალტოს 360-გრადუსიანი ბრუნით), ბჯენითი ხტომები და სხვ. ყველაფრიდან ჩანს, რომ პირველობისათვის მზადების დღეები სპორტსმენმა და მისმა მწვრთნელმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ტაიჭზეც კი, რომელიც რ. კაჭახიძისათვის ყველაზე „უსიამოვნო" იარაღია, იგი ვარჯიშობს თანაბრად და სუფთად. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რ. კაჭახიძის ზოგიერთ ვარჯიშს, განსაკუთრებით რგოლებზე, ჯერ კიდევ აქვს ხარვეზები და „უსუფთაობანი", რომლებიც, ალბათ, შეჯიბრების დაწყებისათვის უკვე გამოსწორებულნი იქნებიან.

ჩვენი მეორე ვაჟი ტანმოვარჯიშე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მრავალჭიდოსანთა დასკვნით ასპარეზობაში — ნ. მაკალათია ამჟამად იმყოფება მოსკოვში, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებთან ერთად გადის წვრთნას. მის მზადებას ხელმძღვანელობს ცნობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვ. ჩუკარინი.

გაცხოველებულ მზადებაში არიან მ. ნინოშვილი და ე. ბენიძე. მწვრთნელი ნ. მახვილაძე განსაკუთრებით ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მ. ნინოშვილი თუ ერთის მხრივ, ძლიერია დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში, მას გარკვეული „ბუნებრივი" სისუსტეები აქვს ორძელზე და ბჯენით ხტომებში. მზადება სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობს, რომ მზიამ თავის ძლიერ გამოსვლებს გაუთანასწოროს ბჯენითი ხტომების და ორძელზე ვარჯიშის დონე. რაც შეეხება ე. ბენიძეს, იგი შედარებით თანაბრად გამოდის ყველა იარაღზე და იმედია მ. ნინოშვილთან ერთად ღირსეულად დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო ასპარეზობაზე.

ა. ჯორჯაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# კოლექტივი 200 ფიზკულტურელს აერთიანებს

ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფიზკულტურის კოლექტივი, რომელსაც ფიზაღზრდის მასწავლებლები ს. ბაბუნაშვილი და ვ. ჯორჯაძე ხელმძღვანელობენ. სკოლაში მუშაობს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ტყვიით სროლისა და ჭადრაკის სექციები. აქ ხშირად ეწყობა შიდასასკოლო ღონისძიებები. მოსწავლე-სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონულ ღონისძიებებში. მიმდინარე წელს სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა რაიონის სასკოლო გუნდების პირველობაზე მოიპოვა ჩემპიონის საპატიო სახელი.

მეორე საშუალო სკოლის დირექცია (დირექტორი გ. ჩხოლარია) დიდ დახმარებას უწევს სკოლის ფიზკულტურის კოლექტივს, ამოწმებს და მსჯელობის საგნად ხდის სექციების მუშაობას, ავლენს ნაკლოვანებებს და იღებს ზომებს მის გამოსასწორებლად, პოპულარიზაციას უკეთებს და ნერგავს მოწინავე სპორტსმენთა გამოცდილებას.

ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი, რომელიც 200-მდე ფიზკულტურელს აერთიანებს, მომზადებული შეხვდა მიმდინარე ზამთრის სპორტულ სეზონს. წესრიგში მოიყვანეს ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის მოედნები, შეაკეთეს სპორტდარბაზი, შეიძინეს საჭირო რაოდენობის სპორტინვენტარი და სხვ.

მოსწავლე-სპორტსმენები პირობას იძლევიან, რომ მათზე გაწეულ მზრუნველობას ისინი ახალი სპორტული წარმატებებით უპასუხებენ.

**გ. ალშიბაია**



პარტია გადადებულია.

ნახ. ლ. ხიხარულიძისა.

# ჩემპიონი გამოჩნდა ჰორიზონტზე

საბჭოთა კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. განვლო ცხრამეტმა ტურმა, რომლებმაც საკმაოდ ნათლად გამოააშკარავეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოჭადრაკეების ძალთა შეფარდება, მათი მომზადება, პრეტენზიები. რასაკვირველია, სტარტზე ყველას ჰქონდა იმედი ყოფილიყო პირველი, ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. მაგრამ ბევრს უმტყუნა მარჯვენამ, მხოლოდ სპასკი იშვიათი ენერგიით, სიძლიერით განაგრძობს ლიდერობას. მართალია, ერთხელ „წაიფორხილა" კიდეც, როცა დამარცხდა შამკოვიჩთან, მაგრამ ამ „ჭრილობას" მისთვის ზიანი არ მიუყენებია. დარჩენილი ორი ტურის წინ სპასკის 13,5 ქულა აქვს. ამიტომ ამბობენ—ჩემპიონი გამოჩნდა ჰორიზონტზეო. საინტერესოა, რომ სპასკი არასოდეს ყოფილა ჩვენი ქვეყნის „პირველი მოჭადრაკე", რასთანაც იგი ამჯერად ასე ახლოა.

ლიდერთა ფერხულში ჯიქურ მიიწევს წინ პოლუგაევსკი. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ იგი მიუახლოვდა სპასკის ნახევარი ქულით, მაგრამ XIX ტურში ვერ გასტეხა ლატვიის ჩემპიონის — გიპსლისის წინააღმდეგობა და ერთპიროვნულ ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩა. დაძლიოს ეს მანძილი ორ პარტიაში, ალბათ შეუძლებელი იქნება.

შესამჩნევად დაიმუხტა ბრძოლა მესამე საპრიზო ადგილისათვის. სასიამოვნოა ბრონშტეინის შედეგიანი თამაში. დიდიხანია იგი აღარ გვიხილავს ჩემპიონატის ლიდერებში. ფინიშზე მისი თამაში გვაგონებს ძველ ბრონშტეინს. ეს თავის თავზე იგრძნო ჭაბუკმა სავონმაც. მოსკოვის ჩემპიონს 11,5 ქულა აქვს. მის კონკურენტებს ავერბახს, მართალია, 11 ქულა აქვს, მაგრამ გადადებული პარტია გურგენიძესთან დამაფიქრებელ მდგომარეობაშია, ხოლმოვს მხოლოდ 11 ქულა გააჩნია, ტაიმანოვს, რომელიც ბრონშტეინს უწევდა მთავარ კონკურენციას, 10,5 ქულა აქვს, რადგან იგი დამარცხდა ტალთან. ტაიმანოვს მხარს უმშვენებს შამკოვიჩი — ერთადერთი ოსტატი, რომელმაც ბევრ გროსმაისტერებს (სპასკის, ხოლმოვს) „სიცოცხლე გაუმწარა".

ტურნირი ისე მთავრდება, რომ ტალმა ვერ თქვა თავისი სიტყვა. იგი 10 ქულით მერვე ადგილზე იმყოფება.

ბოლო პარტიებში კარგად ითამაშა გურგენიძემ. მან დაამარცხა შიანკოვსკი. სტუმრებმა „დაჩაგრეს" ბაქოელი ბაგიროვი, რომელსაც დღემდე ერთი პარტიაც კი არ მოუგია.

**თ. გიორგაძე**

უნარიანად გამოვიყენოთ აგიტაცია-პროპაგანდის ყველა დარგი მასებში ფიზკულტურისა და სპორტის დასანერგავად

18 დეკემბერს, 5 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების მუდმივმოქმედ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდისა და აგიტაციის საბჭოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ:

დოცენტი მ. მაჩაიძე თემაზე: „რევიზიონიზმთან, დოგმატიზმთან და სექტანტობასთან ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის აუცილებელი პირობაა". ლექტორი ა. ბაქრაძე თემაზე: „საბჭოთა კინოს განვითარების ეტაპები".

თავისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ გამოვლენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ირაკლი კანდელაკი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ლია ელიავა, ლიანა ასათიანი, და დოდო ჭიჭინაძე.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნება კინოფილმი.

დასწრება თავისუფალია.





როგორც ცნობილია, კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა ამას წინათ დადგა ლ. ზორინის „ფეხბურთელები" (გადმოქართულებული ა. ჩხაიძის მიერ). სპექტაკლმა მაყურებელთა დიდი მოწონება მოიპოვა. ამ დღეებში საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის აგიტაცია-პროპაგანდის საბჭომ თეატრის კოლექტივთან ერთად მოაწყო სპექტაკლის საჯარო განხილვა.

შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილემ ბ. თათარიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. მერკვილაძე და ბ. პაიჭაძე, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე ნ. ნიკოლაიშვილი, პროფესორი დ. მშვენიერაძე და სხვები.

ორატორებმა აღნიშნეს პიესის დადებითი და უარყოფითი მხარეები, აღნიშნეს პიესის დიდი მნიშვნელობა ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაციის საქმეში. დასასრულს თეატრის სახელით შეკრებილთ მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კობახიძემ.

* * *

**სურათზე:** სცენა პიესა „ფეხბურთელებიდან". მარცხნიდან: შ. ქოჩორაძე (არჩილ ქვარიანი), ე. მაღალაშვილი (ამირან უგრეხელიძე), გ. გელოვანი (მურზაყან დაშნიანი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# პირველი ნაბიჯი

სპორტის ამათუიმ სახეობის აღიარებულ ოსტატთა მიერ პრესაში გამოქვეყნებული ან რადიოთი მოსმენილი სიტყვა ვერასოდეს მოახდენს ისეთ შთაბეჭდილებას გულშემატკივრებზე, როგორც უშუალო შეხვედრის დროს მოედანს გარეთ — მეგობრულ ატმოსფეროში.

და აი ამ კონტაქტის დასამყარებლად პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტმა, რომელმაც ზეპირი ჟურნალის „დღეები და ადამიანები"-ს მესამე ნომერი სპორტულ თემას დაუთმო.

რა უნდა ყოფილიყო საქტო დარბაზში შეკრებილი სპორტის გულშემატკივრებისათვის იმაზე ძვირფასი, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიასა და მის პერსპექტივებზე მათ ესაუბრებოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე, რომლის უშუალო მონაწილეობით ვითარდებოდა და იხვეწებოდა ფეხბურთელთა თანამედროვე თამაშის კლასი.

მსმენელთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე ამომწურავ პასუხთა გაცემის შემდეგ ფეხბურთის ვეტერანმა ტრიბუნაზე ადგილი დაუთმო რადიოკომენტატორს — კოტე მახარაძეს, რომელმაც მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, თავის საწარმოო იარაღად მიკროფონი გაიხადა და სამუდამოდ შეისისხლხორცა სპორტული გადაცემის რთული ხელოვნება.

კ. მახარაძე მაყურებელს ესაუბრა ქართველ სპორტსმენთა მიერ 1961 წელს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებზე, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვნად ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება სცნო ვრნიაჩკა-ბანიაში.

სპორტულმა კომენტატორმა 1961 წლის მეორე დიდმნიშვნელოვან ფაქტორად თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა მიერ მოპოვებული მეორე ადგილი და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც მეორედ მონაწილეობა აღიარა, რაზედაც უფრო ვრცლად და დაწვრილებით ილაპარაკა „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის კაპიტანმა გ. მინაშვილმა.

სპორტის ოსტატმა სამართლიანად ცნო მაყურებელთა წყრომა ბუქარესტის გუნდთან დინამოელთა მიერ მეორე ტაიმზე ჩატარებულ უნიათო თამაშზე, მაგრამ მათ უსაყვედურა ისეთ „გულშემატკივრობაზე", რომელსაც ზოგჯერ მოთამაშე სულიერ ტრავმამდე მიყავს.

მსმენელთა შეკითხვებზე ა. ალაჩაჩიანის შესახებ გ. მინაშვილმა მოკლე დახასიათება გაუკეთა თავის ერთ-ერთ ძლიერ მეტოქეს, რომლის სპორტული ბიოგრაფია სამაგალითო შეიძლება იყოს ყველა კალათბურთელისათვის. 37 წლის ა. ალაჩაჩიანი სპორტული რეჟიმის უაღრესად ზუსტი დაცვითა და ალკოგოლისადმი უკუპროპორციული დამოკიდებულებით, დღესაც ერთ-ერთ ყველაზე მოძრავ და აქტიურ კალათბურთელს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რობერტ შავლაყაძემ დარბაზში შეკრებილთ მოუთხრო რომაულ შთაბეჭდილებებზე.

ზეპირი ჟურნალის დასასრულს ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის მდივანმა ნ. ახობაძემ მადლობა გადაუხადა სიტყვით გამოსულთ გულთბილი ამხანაგური საუბრისათვის.

უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ინიციატივა უდავოდ მისასალმებელი და ქების ღირსია. ამ წამოწყებამ კიდევ ერთი დამაახლოვებელი ხიდი გასდო სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს შორის.

დასასრულს შენიშვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ზეპირი ჟურნალი ერთიორად მოიგებდა საუბრის დროს სპორტული კინოჟურნალის ნაწყვეტების ჩვენებით. ასეთი ჟურნალები კი, რომლებიც თუნდაც სიტყვით გამოსულ ამხანაგთა მოღვაწეობას ასახავენ კინოფირზე, თბილისის კინოქრონიკას საკმარისად მოეპოვება.

**გ. სამსონაძე**



# ლენინგრადში გაიშალა სარბიელი

**ლენინგრადი. (ტელეფონით).** ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა ლენინგრადში საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. თიკანაძეს, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა:

—როგორც უკვე გატყობინებდით, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატის პირველ წრეში საქართველოსა და მოსკოვის მოჭიდავეებმა შესაბამისად დაამარცხეს ესტონეთისა (19:12) და უკრაინის (18:14) გუნდები. I წრის სხვა შეხვედრების ანგარიშებია: აზერბაიჯანი-ყაზახეთი — 22:10, მოლდავეთი-ლიტვა — 19:10, თურქმენეთი-ტაჯიკეთი — 20:12, ლატვია-ყირგიზეთი — 16:14, ბელორუსია-სომხეთი — 18,5:10,5, რსფსრ-უზბეკეთი — 22:8. ლენინგრადის მოჭიდავეები ამ წრეში ისვენებდნენ.

ქართველი მოჭიდავეებიდან თავი ისახელეს ზ. შეყრილაძემ (უმძიმესი წონა), ვ. არსენიანმა (მსუბუქი წონა), ვ. რუბაშვილმა (ქვემსუბუქი წონა), შ. ლომიძემ (საშუალო წონა) და ა. კიკნაძემ (მძიმე წონა), რომლებმაც წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს.

II წრეში საქართველოს ნაკრები შეხვდა ყირგიზეთის გუნდს. ამ მატჩში საქართველოს მოჭიდავეებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, რაზეც ანგარიშიც ნათლად მეტყველებს — 24:8 ქართველ ფალავანთა სასარგებლოდ. ყირგიზებთან შეხვედრაშიც ზემოთ აღნიშნულმა მოჭიდავეებმა წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს.

მწვავე ბრძოლა გაიმართა ყაზახეთისა და ლატვიის მოჭიდავეთა მატჩში, რომელიც პირველთა გამარჯვებით დამთავრდა — 17:14. სხვა მატჩებში ბრძოლა ასე დამთავრდა: აზერბაიჯანი-მოლდავეთი — 20:11, უკრაინა - თურქმენეთი — 20:12, მოსკოვი-ტაჯიკეთი — 24:8, ესტონეთი-ლატვია — 22:10, ბელორუსია-უზბეკეთი — 20:10, ლენინგრადელებმა დაამარცხეს სომხეთის მოჭიდავეები. ამ დღეს თავისუფალი იყვნენ რსფსრ-ს მოჭიდავეები. მეორე წრის შემდეგ შეჯიბრებას 2-2 წაგებით გამოეთიშნენ ლიტვის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და სომხეთის მოჭიდავეები.

ჩვენი გუნდის მოჭიდავეებმა ზ. შეყრილაძემ, ვ. არსენიანმა, ვ. რუბაშვილმა, შ. ლომიძემ და ა. კიკნაძემ III წრის შეხვედრებიც საუკეთესოდ ჩაატარეს და კვლავ წმინდა გამარჯვებებით დაამთავრეს ორთაბრძოლები. ლენინგრადელი სპორტის მოყვარულები ხალიჩაზე გამოჩენისთანავე ტაშით აჯილდოვებენ მათ. მესამე შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა ჩაატარა ლატვიის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 20:9. ყაზახებმა მოუგეს მოლდაველებს (16:14), უკრაინელებმა — აზერბაიჯანელებს (19:11), მოსკოველებმა — თურქმენებს (24:8), რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებმა — ლენინგრადელებს (18:13), ბელორუსებმა — ესტონელებს (19:10). შეჯიბრებას გამოეთიშნენ კიდევ მოლდაველები, თურქმენები, ლატვიელები და ესტონელები.

მეოთხე წრეში გუნდური პირველობისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ მხოლოდ საქართველოს, ყაზახეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოსკოვის, რსფსრ-ს, ლენინგრადისა და ბელორუსიის მოჭიდავეები.

* * *

გუშინ დილით შედგა IV წრის მატჩები. წაუგებლად მატჩებამდე მივიდნენ საქართველოს, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ბელორუსიის, ხოლო თითო წაგებით კი ყაზახეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდები. ამ მდგომარეობამ განაპირობა ორთაბრძოლების სიმძაფრე და მაყურებელთა ინტერესი შეხვედრებისადმი. საქართველოს ნაკრების მოჭიდავეები შეხვდნენ ძლიერ მოწინააღმდეგეებს—რუსეთის ფედერაციის ფალავნებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გუნდებს შეჯიბრების მეოთხე ეტაპამდე დამარცხების სიმწარე არ განუცდიათ და ამ მეტად დაძაბულ მატჩში ნაკრები გუნდების თითეული წევრი თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები ამ უკანასკნელ სამ წელიწადს საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდნენ და ბუნებრივია რევანშის დიდი წყურვილით იჭიდავებდნენ. ეს ასეც მოხდა.

უმძიმეს წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი შეყრილაძე ჭიდაობდა მსოფლიოს ჩემპიონ ალიევთან. შეყრილაძემ შესანიშნავი ფანდებით 9 წუთის მანძილზე 5 ქულა მოიპოვა. მე-10 წუთზე მოახერხა ალიევმა რამდენიმე ილეთის ჩატარება და 1 ქულით მოუგო შეყრილაძეს. არსენიანმა დაამარცხა საბჭოთა კავშირის 1961 წლის პრიზიორი — ტიმოხინი. რუბაშვილმა მე-4 წუთზე გააკრა ხალიჩაზე მირზოევი. ბერიაშვილმა მტკივანი ფეხით მე-8 წუთზე სუფთად მოუგო გუსევს. ლომიძესთან პასიური ბრძოლისათვის ბუკაევს დამარცხება ჩაეთვალა, სალარაძემ და გობეჯიშვილმა წააგეს.

კიკნაძემ უკვე საქვეყნოდ ცნობილ ძარასოვთან ჭიდაობაში გამარჯვებისადმი არა მარტო მისწრაფება გამოიჩინა, არამედ შეხვედრა ქულებით თავის სასარგებლოდ მიჰყავდა, მაგრამ საბოლოო შედეგი მსაჯებმა ფრედ შეაფასეს.

ამგვარად, საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 17:15 დაამარცხა რსფსრ-ს მოჭიდავეები.

მეოთხე წრის სხვა შეხვედრების შედეგია: უკრაინა-ყაზახეთი (24:7), მოსკოვი-აზერბაიჯანი (18:13) და ბელორუსია-ლენინგრადი (21:11). შეჯიბრებას გამოეთიშნენ ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდები. V წრეში ბრძოლას განაგრძობენ მოსკოვის, რსფსრ-ს, საქართველოს, უკრაინისა და ბელორუსიის კოლექტივები. აქედან არცერთი წაგება არა აქვთ საქართველოს, ბელორუსიასა და მოსკოვს.

V წრეში გვიან საღამოს ერთმანეთს შეხვდნენ საქართველო-უკრაინისა და მოსკოვ-რსფსრ-ს მოჭიდავეები. ბელორუსები ისვენებდნენ.

შეჯიბრება გრძელდება.

* * *

**სურათზე:** რუბაშვილმა აიტაცა მოწინააღმდეგე და... გამარჯვება აუცილებელია.

## გუშინ სპორტის სასახლეში

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში შედგა სამი საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩი. პირველად სარბიელზე გაჭიმულ ბადესთან გამოვიდნენ თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტისა და როსტოვის სკა-ს ფრენბურთელები. შეუპოვარ ბრძოლაში თბილისელებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს—3:2.

ბადე აიღეს და ხელბურთის კარები დადგეს. ერთმანეთს შეეჯიბრა ბაქოს „ლოკომოტივისა" და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდები. საინტერესო მატჩში გამარჯვება ბაქოელებს დარჩათ—7:6.

ქალები ვაჟებმა შეცვალეს. ერევნის „ბურევესტნიკი" თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 30:14.



სამტრედიის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პირველად უნდობლად შეხვდნენ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას.

— რაღა დროს ჩვენი ვარჯიშია, ეგ ხომ დროის დაკარგვაოო.

დრო გადიოდა. აქ მომუშავე ქალებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს საწარმოო ტანვარჯიშის ძალა შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად და ახლა ღიმილითღა იგონებენ ვარჯიშის დაწყების პირველ დღეს.

• • •

**სურათზე:** ფიზკულტურული პაუზა XXII ყრილობის სახელობის საკონტროლო საამქროში.

ფოტო გ. თარალაშვილისა

# კენჭისყრამ გამოავლინა გამარჯვებული

— ყველაფერი კარგად მოეწყო: პირველხარისხოვანი ტირი, შესანიშნავი ამინდი, მეგობრული ატმოსფერო მონაწილეებს ნამდვილი სპორტული ბრძოლისათვის განაწყობდა და შედეგებსაც ვერ დავემდურებით. ოთხი რეკორდი სამ დღეში საკმარისია ამ პერიოდისათვის, — ჩვენთან საუბარში განაცხადა რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. რომანენკომ.

და მართლაც, სამ დღეს შესანიშნავი ამინდები იყო ავჭალის სასროლეთზე. ბოლოს მაინც თავისი ქნა ზამთარმა. უკრაინისა და თბილისის სპორტსმენებს შესასრულებელი ჰქონდათ ვარჯიშები „გაქცეულ ირემზე", აგრეთვე სროლა რევოლვერ-პისტოლეტიდან და ნებისმიერი შაშხანიდან.

„ირემზე მონადირენი" ორ დღეს ცდილობდნენ ძალებს და უკვე პირველმა ვარჯიშმა (50 ერთჯერადი გასროლა) უპირატესობა სტუმრებს მოუტანა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კვლავ ცხადჰყო თავისი სიძლიერე. ვ. რომანენკომ 219 ქულის მოგროვება შეძლო, რითაც 7 ქულით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ვ. ქელეზნიაკი და 8 ქულით — თბილისელი ოსტატი გ. ბექთაშევი. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რადგან წინ იყო 25 ორმაგი გასროლა.

აქ უკრაინელმა ვ. რომანენკომ ერთგვარად დათმო პოზიციები — მხოლოდ 204 ქულა მოაგროვა და ჩამორჩა არა მარტო თანაგუნდელს ვ. კოკორინს — 209 ქ. არამედ თბილისელ გ. ბექთაშევსაც — 205 ქულა. როცა მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა „ირემზე" სროლის ორი დღის შედეგები, აღმოჩნდა: რომანენკოს პირველობა უკვე პირველ დღეს უზრუნველეყო თავისთვის. მეორეზე გამოვიდა ვ. კოკორინი, მესამეზე — გ. ბექთაშევი. სტუმრებმა გუნდურში გაიმარჯვეს იმის წყალობით, რომ თბილისელებმა ე. მიტინიანმა, პ. კაიუდამ და გ. ბოსტოლანაშვილმა ვერცერთ დღეს ვერ შეძლეს გადაელახათ 200-ქულიანი ზღვარი.

ამ ვარჯიშში დამარცხებისთვის თბილისელებმა (გ. ბაქთაშევის, ვ. პანკოვის, ა. შამეკოსა და რ. ანანიკიანის შემადგენლობით) რევანში აიღეს ნებისმიერი არმიული შაშხანიდან 300 მ სტანდარტზე (3×40) სროლაში, როცა უკრაინის გუნდს 57 ქულით გაასწრეს. რაც შეეხება პირად პირველობას, აქ უძლიერესი ისევ უკრაინის გუნდის წევრი ვ. ასტახოვი აღმოჩნდა — 1121 ქ. სამაგიეროდ, მეორე და მესამე ადგილები მასპინძლებს — გ. ბექთაშევს — 1120 ქ. და ვ. პანკოვს — 1108 ქ. დარჩათ.

საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი რევოლვერ-პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში, სადაც პირად პირველობაში უძლიერესი მხოლოდ კენჭისყრამ გამოავლინა. მრგვალ სამიზნეებზე 291 ქ. ჰქონდა უკრაინელ ნ. კოსიცას თბილისელ ვ. სალუქვაძის 290-ის წინააღმდეგ. სილუეტებზე სროლამ ასევე ერთი ქულის განსხვავებით უპირატესობა თბილისელ სპორტსმენს მოუტანა — 293 ქულა და ჯამში ორივეს თანაბარი ბალანსი — 583 ქ. აღმოაჩნდა. შეჯიბრების წესების თანახმად გამარჯვებულის გამოსავლინებლად სილუეტებზე უნდა მოწყობილიყო 30 დამატებითი გასროლა 3-წამიანი სერიებით, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ამ ვარიანტზე უარი თქვეს და შეთანხმდნენ: უძლიერესის საკითხი კენჭისყრას გადაეწყვიტა. აქ კი „ბედმა" უკრაინელს გაუღიმა.

— ეს იყო თბილისელი მსროლელების მოულოდნელი დამარცხება, — სინანულით გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა. ა. ფონენკომ, — მოულოდნელი იმდენად, რამდენადაც არავინ მოელოდა თბილისელთა გუნდის წევრის, სპორტის ოსტატ ქ. ფოტიევის ესოდენ დაბალ მაჩვენებელს — 561 ქულას.

დღეს შეჯამდება ერთკვირიანი ბრძოლის საბოლოო შედეგები და როგორც არ უნდა დამთავრდეს იგი, ერთი ცხადია, მატჩმა ბევრი რამ შესძინა მოწინააღმდეგეებს.

ო. იმედაშვილი

# შემთხვევა კაიროში

კაიროში, ფეხბურთის ფედერაციის შენობაში საუცხოოდ ჩაცმული ევროპელი გამოცხადდა. მან თავი შვეციის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლად დაასახელა და სათანადო საბუთებიც წარადგინა. მასპინძლებს წინადადება ეძლეოდათ მოეწყოთ ორი შეხვედრა შვეციის ნაკრებთან 15 და 17 დეკემბერს. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი დამხვდურთათვის ფრიად სასურველი აღმოჩნდა. ამ ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე ფეხბურთი მეტად პოპულარული გახდა და სისტემატურად იწვევენ უცხოელებს. შარშან კაიროში ორი თამაში ჩაატარა ბრაზილიის ნაკრებმა, ხოლო მადრიდის „რეალის" თამაშმა ეგვიპტის ნაკრებთან ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ აქ სატელევიზიო ფილმი გადაიღეს და დროგამოშვებით გადასცემენ ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ შვედები მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით თამაშებში ვერ მოხვდნენ, მათი პრესტიჟი ფეხბურთის სამყაროში მაინც საკმაოდ მაღალია. ამასთან, შვედების წარმომადგენელმა სიტყვა დადო და აღუთქვა, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ორივე შეხვედრას ჩაატარებდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. მან მასპინძლები დაარწმუნა, რომ ითამაშებენ ცნობილი ფეხბურთელები კ. ჰამრინი და ლ. სკოგლუნდი, რომლებსაც ამ შემთხვევისათვის გაათავისუფლებენ იტალიის კლუბები. შემდეგ სტუმარმა მოისურვა კაიროსა და ალექსანდრიის დათვალიერება. ეს სურვილი მას დაუყოვნებლივ აუსრულეს.

ყოველივე ამის შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს სპეციალურ ხელშეკრულებას მატჩების პირობების შესახებ. სტუმარმა მიიღო ავანსი, დაახლოებით 20 ათას გერმანული მარკა, გამოემშვიდობა მასპინძლებს და დაუყოვნებლივ დასტოვა კაირო.

ამაოდ უცდიდნენ რაიმე ცნობებს შვეციიდან ნაკრების გამომგზავრების შესახებ. ბოლოს, როცა ეგვიპტელებმა მოთმინება დაკარგეს და სტოკჰოლმს ტელეფონით დაუკავშირდნენ, აღმოჩნდა, რომ იქ ამ მატჩების შესახებ არაფერი იციან, შვედებს არათუ არ გაუგზავნიათ წარმომადგენელი კაიროში, არამედ აზრადაც არ მოსვლიათ ეგვიპტელებთან თამაში.

შვედების „წარმომადგენელი" გაქნილი ავანტურისტი აღმოჩნდა, რომელიც უკვალოდ გაქრა.



სურათზე: ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი თავმჯდომარე ს. როუზი (მარჯვნივ).

# რატომ დამარცხდა ე. ტომენი

გასულ გაზაფხულს გარდაიცვალა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი არტურ დრიური. მძიმე ავადმყოფობამ განსვენებული პრეზიდენტი დიდი ხნით მიაკრა საწოლს და მის ფუნქციებს ხანგრძლივი დროით ასრულებდა ვიცე-პრეზიდენტი შვეიცარელი ე. ტომენი. თავისი საქმიანობით ამ ხნის განმავლობაში მან მოიპოვა „რკინის ადამიანის" რეპუტაცია და თითქოს ბუნებრივიც იყო პრეზიდენტის სავაკანსიო სავარძელი მას უნდა დაეკავებინა.

ასე ფიქრობდნენ ბევრნი აღნიშნულ გაზაფხულამდე. მაგრამ საერთო დამოკიდებულება შვეიცარელის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ე. ტომენი ძველებური ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ ევროპელებმა ანაზდად ზურგი შეაქციეს ამ პირველ კაცს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში.

რა მოხდა? ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ე. ტომენმა გაზაფხულზე შეკრიბა დიდი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები და კატეგორიულად განუცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებისა, რომელიც ბოლო წლებში მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს კონტინენტზე. პრეზიდენტობის კანდიდატს გაგონებაც არ უნდოდა ისეთი შეჯიბრების შესახებ, როგორიცაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება, ხოლო საკონტინენტთაშორისო თამაშები, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ევროპისა და სამხრეთ ამერიკის უძლიერესი საკლუბო გუნდები, მას საერთოდ სისულელედ მიაჩნდა. ე. ტომენის აზრით ყველა ეს შეჯიბრება საცირკო სანახაობაა, სადაც ყველაფერი მიმდინარეობს წინასწარი დასახული რეჟისორული გეგმით და მათ საერთო არაფერი აქვთ სპორტთან. ესაა კომერციული ღონისძიება, რომელსაც მოგება მოაქვს მისი ორგანიზატორებისათვის.

გულუბრყვილო ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ე. ტომენი თავგამოდებით იბრძვის სპორტის სიწმინდისათვის, მაგრამ საიდან. ეს ხომ ის ტომენია, რომელმაც დააწესა ე. წ. „ინტერტოტო" — საერთაშორისო ტოტალიზატორი, რომელიც აზარტულ თამაშს წარმოადგენს და რომელსაც საფუძვლად უდევს საფეხბურთო მატჩების შედეგების წინასწარი გამოცნობა. ე. ტომენის „ინტერტოტო" მუშაობს ზაფხულობით, როცა ევროპაში ეროვნული ჩემპიონატები და დიდი ტურნირები არ იმართება და საქმოსნებს საშუალება აქვთ ამ „მკვდარ პერიოდში" მოაწყონ ახალი შეჯიბრებები და იპოვონ დამატებითი შემოსავალი. ბევრი გუნდი იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო ამ ტურნირებში, რათა როგორმე შეევსო დანაკლისი თავიანთ საკლუბო ბიუჯეტში. სეზონის დასაწყისისათვის ფეხბურთელები, როგორც წესი, ისე იღლებოდნენ, რომ ოქტომბრისათვის არაქათგამოცლილნი გამოიყურებოდნენ. ე. ტომენსა და მის კომპანიონებს სრულიადაც არ ადარდებდათ, თუ ვინ იყო ფორმაში და ვინ არა. მათთვის მთავარი იყო ტოტალიზატორის შემოსავალი.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოლიტიკა ე. ტომენის ხელმძღვანელობის პერიოდში მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ევროპის ასოციაციათა კავშირის (უეფა) საქმიანობას. ტომენის მომხრეებს არ მოსწონდათ, რომ უეფა-მ ბოლო ხანებში მოაწყო ისეთი დიდი შეჯიბრებები, როგორიცაა ევროპის თასი, ჩემპიონთა თასი, თასის მფლობელთა თასი და ა. შ. ფიფა-ს ხელმძღვანელობა თითქოს კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმით, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ორგანო ასეთ აქტივობას იჩენდა, მაგრამ მთელი საქმე იმაშია, რომ შემოსავლი ამ ევროპული ტურნირებიდან მიდიოდა უეფა-ს სალაროში და „ინტერტოტომ" ვერ შეძლო ამ ასპარეზზე მონოპოლიის მოპოვება. ამიტომ იყო, რომ ე. ტომენმა „ჯვაროსნული ლაშქრობა" გამოუცხადა ევროპის კონტინენტის ამ უდიდეს შეჯიბრებებს.

რა თქმა უნდა, უეფა უბრძოლველად არც აპირებდა დაეთმო თავისი პოზიციები მოწინააღმდეგისათვის და ამიტომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ა. დრიურის სიკვდილის შემდეგ წამოაყენა უეფა-ს ერთ-ერთი უძველესი თეორეტიკოსისა და მოღვაწის — ინგლისელი სტენლი როუზის კანდიდატურა.

სპორტის მოყვარულებმა, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებას, იციან თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ფიფა-ს ახალი პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ლონდონში შედგა. საჭირო შეიქნა კენჭისყრის რამდენიმე ტურის ჩატარება. როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლები ხმას აძლევდნენ ე. ტომენს, ხოლო ევროპელები — ს. როუზს. მცირე უპირატესობით გამარჯვება წილად ხვდა ს. როუზს, თუმცა იგი არჩეულია მხოლოდ 8 თვით.

# პელე გააძევეს მოედნიდან

ბრაზილიაში ამჟამად მიმდინარეობს შტატების ჩემპიონატები ფეხბურთში. საყოველთაო ყურადღების ცენტრშია სან-პაულუს შტატის პირველობა, სადაც ლიდერობას ერთმანეთს ეცილებიან „სანტოსი" და „პალმეირასი".

ამას წინათ შედგა ამ ორი გუნდის მატჩი, რომელსაც მაყურებელთა მაქსიმუმი დაესწრო. მოგების შემთხვევაში „სანტოსი" უკვე ჩემპიონი იყო, მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო 2 ქულის აღება. ბრწყინვალედ ითამაშა „სანტოსის" განთქმულმა ფორვარდმა პელემ, რომელმაც მოწინააღმდეგის კარში 2 გოლი გაიტანა. მიუხედავად პელეს ამგვარი თავგამოდებისა, „სანტოსმა" მაინც განიცადა მარცხი — 2:3.

რამდენიმე დღის შემდეგ „სანტოსმა" ორი ნახევარფინალური მატჩი ჩაატარა ბრაზილიის თასზე, სადაც იგი შეხვდა რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონს — „ამერიკას", პირველი მატჩი „სანტოსმა" მოწინააღმდეგის სტადიონზე იოლად მოიგო — 6:2. განმეორებითი შეხვედრა შედგა სან-პაულუში, რომელიც „სანტოსმა" წააგო ანგარიშით 0:1. ამ მატჩში მინდვრიდან გაძევებულ იქნა პელე.

მესამე, გადამწყვეტი მატჩი „სანტოსმა" მოიგო — 6:1.

# კროსვორდი



1. საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; 2. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფეხბურთში; 3. საკავშირო ჩემპიონატებში გატანილი მე-10.000 გოლის ავტორი; 4. საბჭოთა ჟურნალისტი, ფეხბურთის მიმომხილველი; 5. „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივი; 6. ბრაზილიის პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდი; 7. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, რომელმაც ომის შემდგომ გამართულ ჩემპიონატში პირველი ბურთი გაიტანა; 8. ყველა საკავშირო ჩემპიონატის, ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი; 9. საკავშირო პირველობაზე პირველი კალენდარული შეხვედრების რეპორტაჟის გადამცემი; 10. მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელი; 11. ცნობილი საბჭოთა ცენტრფორვარდი, მსოფლიოს მე-6 ჩემპიონატის მონაწილე; 12. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი; 13. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთა გუნდი, ე. წ. „საკონტინენტთაშორისო მატჩის" ფინალისტი; 14. როსტოვის არმიელთა ფეხბურთელი; 15. პოპულარული ინგლისელი ფეხბურთელი; 16. მატჩის მსაჯი; 17. ჯარიმა ფეხბურთში; 18. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 19. სპორტული საზოგადოება; 20. ლეგენდარული ესპანელი მეკარე.

შეადგინა ა. ენუქაშვილმა

# სპორტი ჯუჯა სახელმწიფოში

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში არის ჯუჯა სახელმწიფო ლიხტენშტეინი. გერმანულმა გაზეთმა „დოიჩეს შპორტეხოს" დაბეჭდა საინტერესო ცნობა ამ სახელმწიფოში სპორტის „განვითარების" შესახებ. ლიხტენშტეინის მძლეოსანთა კავშირი აქვეყნებს თავისი უძლიერესი მძლეოსნების სიას. ამჯერად ამ სიაში შედის მხოლოდ ორი (!) სპორტსმენი. ა. ბეჰელი ლიხტენშტეინის ჩემპიონია 100 და 200 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში, თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომასა და ათჭიდში, ხოლო ჰ. ვალსერი პირველია გრძელ დისტანციებზე რბენაში.

რედაქტორი ი. უზულავა.



# დღეს!

17 ს. — ფრენბურთი (ქალები) — სკა (როსტოვი) — ნაკრები (თბილისი).

18 ს. ფრენბურთი (ვაჟები) — სკა (როსტოვი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი).

19 ს. — ხელბურთი (ქალები) — „ლოკომოტივი" (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (თბილისი).

20 ს. — ხელბურთი (ვაჟები) — ნაკრები (ერევანი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი).

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04140